თელავის მუნიციპალიტეტის საკრებულოს

ეკონომიკის და ქონების მართვის საკითხთა კომისიის სხდომის

ო ქ მ ი N 9

ქ. თელავი 2019 წლის 20 მაისი

თავმჯდომარეობდა: კომისიის თავმჯდომარე: ალექსანდრე შათირიშვილი

სხდომას ესწრებოდნენ კომისიის წევრები: ვასილ არაბული, გიორგი ჩაბრაშვილი, გურამი წულუკიძე, ლევანი ლილუაშვილი.

სხდომას აგრეთვე ესწრებოდნენ: თელავის მუნიციპალიტეტის მერიის ეკონომიკური განვითარებისა და ქონების მართვის სამსახურის უფროსი გიორგი თავბერიძე, თელავის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ეკონომიკისა და ქონების მართვის საკითხთა კომისიაში მოწვეული სპეციალისტი ზურაბ ენუქიძე.

დ ღ ი ს წ ე ს რ ი გ ი:

1. თელავის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული უძრავი ქონების ა(ა)იპ „ქალთა საკონსულტაციო ცენტრი სახლისათვის“ პირდაპირი განკარგვის წესით, დროებით სარგებლობის უფლებით უსასყიდლოდ გადაცემის შესახებ თანხმობის მიცემის თაობაზე პროექტის განხილვის შესახებ.

   მომხს. ა. შათირიშვილი

2. თინათინ ჩეკურიშვილის მიერ ქ. თელავში, კავკასიონის ქუჩაზე მდებარე არასასოფლო–სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთის შეძენისას ნაკისრი სააუქციონო პირობის ვადის გაგრძელების თაობაზე თანხმობის მიცემის შესახებ პროექტის განხილვის თაობაზე.

   მომხს. ა. შათირიშვილი

3. თელავის მუნიციპალიტეტისა და მის მიერ დაფუძნებული იურიდიული პირების საკუთრებაში არსებული (ბალანსზე რიცხული) ქონების ინვენტარიზაციისა და ამორტიზებული ან გამოუყენებელი ქონების ჩამოწერის წესის დამტკიცების შესახებ პროექტის განხილვის თაობაზე.

მომხს. ა. შათირიშვილი

4. თელავის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული უძრავი ქონების უცხოური არასამეწარმეო იურიდიული პირის ფილიალი ,,World Vision საქართველოსათვის'' პირდაპირი განკარგვის წესით, დროებით სარგებლობის უფლებით უსასყიდლოდ გადაცემის შესახებ თანხმობის მიცემის თაობაზე პროექტის განხილვის შესახებ.

მომხს. ა. შათირიშვილი

მოისმინეს: 1. „თელავის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული უძრავი ქონების ა(ა)იპ „ქალთა საკონსულტაციო ცენტრი სახლისათვის" პირდაპირი განკარგვის წესით, დროებით სარგებლობის უფლებით უსასყიდლოდ გადაცემის შესახებ თანხმობის მიცემის თაობაზე პროექტის განხილვის შესახებ.

აზრი გამოთქვეს: გ. თავბერიძემ აღნიშნა, რომ ორგანიზაციამ სრულად შეასრულა ხელშეკრულებით გათვალისწინებული პირობები, მას დონორის დაფინანსება აქვს 2020 წლის ბოლომდე, მერიას მიზანშეწონილად მიაჩნია მისთვის ვადის გაგრძელება.

გ. ჩაბრაშვილმა აღნიშნა, რომ ორგანიზაცია აქტიურად მოქმედებს და ბენეფიციარებისთვის მოაქვს სარგებელი, ის მიზანშეწონილად სთვლის ორგანიზაციისთვის ვადის გაგრძელების საკითხის საკრებულოს ბიუროს სხდომაზე წარდგენას განსახილველად.

გ. ჩაბრაშვილს მხარი დაუჭირეს კომისიის დანარჩენმა წევრებმა.

გადაწყვიტეს: „თელავის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული უძრავი ქონების ა(ა)იპ „ქალთა საკონსულტაციო ცენტრი სახლისათვის" პირდაპირი განკარგვის წესით, დროებით სარგებლობის უფლებით უსასყიდლოდ გადაცემის შესახებ თანხმობის მიცემის თაობაზე პროექტი წარდგენილი იქნას საკრებულოს ბიუროს სხდომაზე განსახილველად.

მოისმინეს: 2. თინათინ ჩეკურიშვილის მიერ ქ. თელავში, კავკასიონის ქუჩაზე მდებარე არასასოფლო–სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთის შეძენისას ნაკისრი სააუქციონო პირობის ვადის გაგრძელების თაობაზე თანხმობის მიცემის შესახებ პროექტის განხილვის თაობაზე.

აზრი გამოთქვეს: ზ.ენუქიძემ აღნიშნა, რომ ჩეკურიშვილს ერიცხება ქონების გადასახადის დავალიანება, რაც არის მუნიციპალური გადასახადი და მან დროულად უნდა მოახდინოს მისი დაფარვა.

ა.შათირიშვილმა დააყენა წინადადება საკითხის საკრებულოს ბიუროს სხდომაზე გახილვის თაობაზე.

წინადადებას დაეთანხმნენ კომისიის დანარჩენი წევრები

გადაწყვიტეს: თინათინ ჩეკურიშვილის მიერ ქ. თელავში, კავკასიონის ქუჩაზე მდებარე არასასოფლო–სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთის შეძენისას ნაკისრი სააუქციონო პირობის ვადის გაგრძელების თაობაზე თანხმობის მიცემის შესახებ პროექტი განხილული იქნა საკრებულოს ბიუროს სხდომაზე.

მოისმინეს: 3. თელავის მუნიციპალიტეტისა და მის მიერ დაფუძნებული იურიდიული პირების საკუთრებაში არსებული (ბალანსზე რიცხული) ქონების ინვენტარიზაციისა და ამორტიზებული ან გამოუყენებელი ქონების ჩამოწერის წესის დამტკიცების შესახებ პროექტის განხილვის თაობაზე.

აზრი გამოთქვეს: გ.თავბერიძემ აღნიშნა, რომ წესი შემუშავებულია მოქმედი ნორმატიული აქტების შესაბამისად, პროექტის დამტკიცება გამოიწვევს წინა დადგენილებების ძალადაკარგულად გამოცხადებას.

ვ.არაბულმა გამოთქვა მოსაზრება პროექტის საკრებულოს ბიუროს სხდომაზე განხილვის შესახებ. მას მხარი დაუჭირეს კომისიის დანარჩენმა წევრებმა.

გადაწყვიტეს: „თელავის მუნიციპალიტეტისა და მის მიერ დაფუძნებული იურიდიული პირების საკუთრებაში არსებული (ბალანსზე რიცხული) ქონების ინვენტარიზაციისა და ამორტიზებული ან გამოუყენებელი ქონების ჩამოწერის წესის დამტკიცების შესახებ“ პროექტი განხილული იქნას საკრებულოს ბიუროს სხდომაზე.

მოისმინეს: 4. „თელავის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული უძრავი ქონების უცხოური არასამეწარმეო იურიდიული პირის ფილიალი ,,World Vision საქართველოსათვის'' პირდაპირი განკარგვის წესით, დროებით სარგებლობის უფლებით უსასყიდლოდ გადაცემის შესახებ თანხმობის მიცემის თაობაზე“ პროექტის განხილვის შესახებ.

აზრი გამოთქვეს: ზ.ენუქიძემ აღნიშნა, რომ ორგანიზაციას მუნიციპალიტეტში განხორციელებული აქვს ბევრი სიკეთის მომტანი პროექტები და მისი საქმიანობა არის წარმატებული.

ლ.ლილუაშვილმა გამოთქვა მოსაზრება საკითხის საკრებულოს ბიუროს სხდომაზე გახილვის თაობაზე.

წინადადებას დაეთანხმნენ კომისიის დანარჩენი წევრები

გადაწყვიტეს: „თელავის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული უძრავი ქონების უცხოური არასამეწარმეო იურიდიული პირის ფილიალი ,,World Vision საქართველოსათვის'' პირდაპირი განკარგვის წესით, დროებით სარგებლობის უფლებით უსასყიდლოდ გადაცემის შესახებ თანხმობის მიცემის თაობაზე“ პროექტი განხილული იქნა საკრებულოს ბიუროს სხდომაზე.

კომისიის თავმჯდომარე ალექსანდრე შათირიშვილი

თელავის მუნიციპალიტეტის საკრებულოს

ეკონომიკისა და ქონების მართვის საკითხთა კომისიის

2019 წლის 20 მაისის სხდომაზე დასწრების

რეგისტრაცია

1. ალექსანდრე შათირიშვილი
2. ვასილ არაბული
3. გიორგი ჩაბრაშვილი
4. ბესიკ ქოჩიშვილი
5. უჩა ჭოტიაშვილი
6. გურამი წულუკიძე
7. ლევანი ლილუაშვილი
8. ალექსი ძულიაშვილი
9. ლელა მენთეშაშვილი
10. ზურაბ ნაცარაშვილი